ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2025 წლის 29 ივლისი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და საქართველოს კანონის „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ა) მე-3 მუხლის მერვე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე) ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნა და მისი დებულების დამტკიცება; ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობის ღონისძიების დაგეგმვა და დამტკიცება;

ბ) რეგლამენტის XVII თავი (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„XVII თავი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო

მუხლი 118. საბჭოს შექმნა

ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად საკრებულო ქმნის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს.

მუხლი 119. საბჭოს ამოცანები და ფუნქციები

საბჭოს შემადგენლობა, საქმიანობა, ამოცანები და ფუნქციები განისაზღვრება საბჭოს დებულებით.

მუხლი 120. საბჭოს დებულება

საბჭოს დებულებას დადგენილებით ამტკიცებს საკრებულო.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**